



**ბუღალტრული აღრიცხვის,  
ანგარიშგებისა და აუდიტის  
ზედამხედველობის სამსახური**

01 ნოემბერი 2024



N 693

ქ. თბილისი

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

**ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასებისა და მართვის  
სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე**

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-9 პუნქტის „ბ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტის, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლისა და 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**:

**მუხლი 1.**

დამტკიცდეს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასებისა და მართვის სახელმძღვანელო“ დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.**

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სამსახურის ზედამხედველობას დაქვემდებარებულმა ანგარიშვალდებულმა პირებმა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასებისა და მართვის უზრუნველსაყოფად იხელმძღვანელონ ამ სახელმძღვანელოს შესაბამისად.

**მუხლი 3.**

ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

**ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასებისა და მართვის სახელმძღვანელო**

**თავი I ზოგადი დებულებები**

**მუხლი 1. სახელმძღვანელოს მიზანი და მოქმედების სფერო**

1. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასებისა და მართვის სახელმძღვანელო (შემდგომ - სახელმძღვანელო) ეფუძნება „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონს (შემდგომ — კანონი), ითვალისწინებს ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (შემდგომ — FATF), ევროკავშირის დირექტივებისა და სხვა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილ სტანდარტებს, რეკომენდაციებს და მიზნად ისახავს მეთოდოლოგიური დახმარება გაუწიოს კანონის მიზნებისთვის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ — სამსახური) ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სერტიფიცირებულ ბუღალტერს, პროფესიული მომსახურების გამწვევ ბუღალტერსა და აუდიტორს, რომლებიც დამოუკიდებლად ახორციელებენ პროფესიულ მომსახურებას, აგრეთვე საბუღალტრო და აუდიტორულ (აუდიტურ) ფირმას (შემდგომ — ანგარიშვალდებული პირი), ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების (ML/TF) რისკების შეფასებისა და მართვის სათანადო სახელმძღვანელოს შემუშავებაში, ასევე სამსახურს, ზედამხედველობის ეფექტიან განხორციელებაში.

2. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასებისა და მართვის ერთიანი უნივერსალური მოდელის არარსებობის პირობებში, სახელმძღვანელოში განხილული ინფორმაცია ანგარიშვალდებულ პირს დაეხმარება ამ მიმართულებით არსებული მოთხოვნების პრაქტიკული დანერგვისთვის საჭირო ძირითადი საკითხების სათანადო განმარტებაში, რაც ხელს შეუწყობს მას, საკუთარ სპეციფიკაზე მორგებული რისკის შეფასების მოდელისა და შესაბამისი მართვის სისტემების შემუშავებისა და დანერგვის პროცესის წარმართვისას გაითვალისწინოს ამ მიმართულებით გაცხადებული საზედამხედველო მოლოდინები.

3. ანგარიშვალდებული პირები ვალდებულნი არიან, ML/TF რისკის შეფასებითა და ამ რისკების მართვის სისტემის შემუშავებით დაიცვან კანონმდებლობის მოთხოვნები.

4. ანგარიშვალდებული პირების მიერ, ბუღალტრული და აუდიტორული მომსახურების სფეროში არსებული სპეციფიკის გათვალისწინებით, უნდა განხორციელდეს ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული სისუსტეების, საფრთხეების, რისკების იდენტიფიცირება და შემუშავდეს შესაბამისი სტრატეგიები ამ რისკების მართვისა და კონტროლისთვის.

5. სახელმძღვანელო იძლევა ზოგად ნორმებს, რომელიც ვრცელდება ყველა ანგარიშვალდებულ პირზე.

6. სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა დაასაბუთოს, რომ მან რისკის შეფასება და მართვა სათანადოდ განახორციელა.

## **მუხლი 2. რისკის შეფასების მეთოდოლოგია**

1. ანგარიშვალდებულმა პირმა, საქართველოს კანონმდებლობის, ამ სახელმძღვანელოს, საუკეთესო პრაქტიკისა და რისკზე დაფუძნებული მიდგომის გათვალისწინებით უნდა შეიმუშაოს ML/TF რისკის შეფასების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის შედგენა წარმოადგენს რისკის იდენტიფიცირების საბაზისო და მნიშვნელოვან კომპონენტს და მისი მიზანია სისტემატური, სრული, ობიექტური და გამჭვირვალე ML/TF რისკის, დაკავშირებული საფრთხეებისა და სისუსტეების შეფასების უზრუნველყოფა.

2. ანგარიშვალდებული პირის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის კომპლექსურობა, შესაძლოა განსხვავებული იყოს და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, როგორცაა, თავისი საქმიანობისა და დამახასიათებელი ML/TF რისკების, ასევე ორგანიზაციის სიდიდის, პროდუქტებისა და მომსახურების მრავალფეროვნება. თუმცა, სულ მცირე უნდა ითვალისწინებდეს სტანდარტულ მოთხოვნებს, კერძოდ:

ა) რისკის მეთოდოლოგიის შემუშავება უნდა განხორციელდეს რისკის შეფასებამდე, რისკის იდენტიფიკაცია და რისკის დონის განსაზღვრაზე პასუხისმგებელ პირთან/სტრუქტურულ ერთეულთან/შესაბამისობის კონტროლის სისტემის ფუნქციონირებისთვის პასუხისმგებელ პირთან/სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან და ყველა სხვა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციის საფუძველზე;

ბ) მეთოდოლოგიის კომპლექსურობა უნდა იყოს ანგარიშვალდებული პირის სიდიდის, მოცულობის, მახასიათებლების შესაბამისი და უნდა უზრუნველყოფდეს ML/TF რისკების სრულყოფილ ანალიზს;

გ) მეთოდოლოგიით განსაზღვრული რისკების ანალიზის პროცესი უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს კანონმდებლობას, ეფუძნებოდეს საუკეთესო პრაქტიკას, რისკზე დაფუძნებულ მიდგომას და სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს;

დ) მეთოდოლოგია ნათლად უნდა განსაზღვრავდეს რისკის შეფასებისა და მართვის პროცესში ჩართული თითოეული პირის პასუხისმგებლობასა და ფუნქციებს;

ე) რისკის შემფასებლებისათვის დასახული ამოცანა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მკაფიო და გასაგები;

ვ) მეთოდოლოგია უნდა იყოს ფორმალიზებული და შეიცავდეს ინფორმაციას მისი წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით გადახედვის შესახებ, მაგრამ არანაკლებ 2 წელიწადში ერთხელ, ამასთან, არსებითი ხასიათის ცვლილების შემთხვევაში (მაგ. მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება, ახალი მომსახურების/პროდუქტის დამატება), მეთოდოლოგიის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში მისი განახლება უნდა განხორციელდეს წინასწარ დადგენილ ვადაზე ადრე (უმოკლეს, გონივრულ ვადაში);

ზ) მეთოდოლოგიამ უნდა განსაზღვროს რისკის შეფასებისა და მართვის სისტემის ჩარჩო და პროცედურული საკითხები. ამ პროცესებმა უნდა მოიცვას რისკის იდენტიფიკაცია და რისკის დონის განსაზღვრა, რისკის ანალიზი, რისკის შერბილება/შემცირება და რისკის შესახებ კომუნიკაცია.

2. მეთოდოლოგიის კომპლექსურობის ხარისხის არჩევა უნდა განხორციელდეს არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე.

3. მნიშვნელოვანია, რომ რისკის შეფასებისა და მართვის პროცესი წარმართოს მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით.

## **მუხლი 3. რისკის შეფასებისა და მართვის პროცესი**

1. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების დროული შეფასების სისტემის გამართული ფუნქციონირება ქმნის რისკზე დაფუძნებული მიდგომის ბაზისს და



ანგარიშვალდებულ პირს საშუალებას აძლევს რისკების მართვისათვის საჭირო ძირითადი მიმართულებების შესახებ მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები, გაარკვიოს რამდენად მგრძობიარეა იგი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების სისუსტეების/საფრთხეების მიმართ და იდენტიფიცირებული რისკ-ფაქტორების სათანადო ანალიზზე დაყრდნობით, შეიმუშაოს ადეკვატური შემამსუბუქებელი მექანიზმები.

2. ანგარიშვალდებულ პირის მიერ როგორც საკუთარი საქმიანობის, ასევე კლიენტის რისკის შეფასება და მართვა შედგება შემდეგი ოთხი მნიშვნელოვანი ნაწილისგან:

- ა) რისკის იდენტიფიკაცია და რისკის დონის განსაზღვრა;
- ბ) რისკის ანალიზი;
- გ) რისკის შერბილება;
- დ) რისკის შესახებ კომუნიკაცია.

3. რისკის შეფასებისა და მართვის პროცესის ეფექტურად წარმართვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მმართველობითი ორგანოს ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის სათანადო ინფორმირებულობა და ჩართულობა, რათა გონივრულად განისაზღვროს პრიორიტეტები, განაწილდეს რესურსები, ჩამოყალიბდეს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შესაბამისობის კულტურა და ანგარიშვალდებულ პირის ყველა თანამშრომელს გაცნობიერებული ჰქონდეს თავისი როლი აღნიშნულ პროცესში, ფინანსური, რეპუტაციული, სამართლებრივი თუ სხვა ტიპის საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით.

4. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასებისა და მართვის ფუნქცია შესაძლოა დელეგირებულ იქნეს ანგარიშვალდებულ პირის შესაბამისობის კონტროლის სისტემის ფუნქციონირებისთვის პასუხისმგებელ პირზე ან სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელზე, თუმცა, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ანგარიშვალდებულმა პირმა გაითვალისწინოს, რომ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკებზე პასუხისმგებელი არის მმართველობითი ორგანო ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ი, ან აუდიტორი და პროფესიული მომსახურების გამწვევი ბუღალტერი, რომელიც დამოუკიდებლად ეწევა საქმიანობას.

5. რეკომენდებულია ანგარიშვალდებულ პირის მიერ რისკების შეფასება განხორციელდეს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების ფარგლებში მიღებული ცოდნის გამოყენებითა და საჭიროების შემთხვევაში, იმ პროფესიულ ორგანიზაციასთან კომუნიკაციით (წევრობის არსებობის შემთხვევაში), რომლის წევრსაც იგი წარმოადგენს.

#### **მუხლი 4. ანგარიშვალდებულ პირთა ვალდებულებები**

1. სათანადო რისკის შეფასებისა და მართვის სისტემის უზრუნველსაყოფად ანგარიშვალდებულ პირი:

- ა) შეიმუშავეს რისკის შეფასების მეთოდოლოგიას;
- ბ) რისკის შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად ნერგავს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების სისტემას, რომელიც მოიცავს ანგარიშვალდებულ პირის საქმიანობისა და კლიენტის:
  - ბ.ა) რისკის იდენტიფიკაციასა და რისკის დონის განსაზღვრას;
  - ბ.ბ) რისკის ანალიზს;
  - ბ.გ) რისკის შერბილებას;
  - ბ.დ) რისკის შესახებ კომუნიკაციას.

გ) სათანადო პერიოდულობით აფასებს და აღრიცხავს თავის საქმიანობასთან დაკავშირებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკებს;

დ) სათანადო პერიოდულობით აფასებს და აღრიცხავს კლიენტთან დაკავშირებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკებს (კლიენტის რისკ-ფაქტორებს) და განსაზღვრავს კლიენტის რისკის დონეს.

2. ანგარიშვალდებული პირი შესაბამისობის კონტროლის სისტემას, რომელიც წარმოადგენს შიდა კონტროლის პოლიტიკის, წესების, სისტემებისა და მექანიზმების ერთობლიობას, აფუძნებს თავის მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასების შედეგებზე. ანგარიშვალდებული პირის მიერ შემუშავებული რისკის შეფასების მეთოდოლოგია არის ანგარიშვალდებული პირის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის აღკვეთის ხელშეწყობის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც ნათლად აჩვენებს კავშირს იდენტიფიცირებულ რისკებსა და ამ რისკებთან დაკავშირებულ პოლიტიკას, წესებს, სისტემებსა და მექანიზმებს შორის.

## თავი II . რისკზე დაფუძნებული მიდგომა

### მუხლი 5. პრაქტიკული მიდგომის პოლიტიკა

1. ანგარიშვალდებულმა პირმა, კლიენტთან საქმიანი ურთიერთობისას, საჭიროა სულ მცირე განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) მოახდინოს კლიენტისა და მისი ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიკაცია;

ბ) კლიენტთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე მოიპოვოს ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ შეიძლება მომსახურების ხელშეკრულებამ/მომსახურებამ ხელი შეუწყოს ფულის გათეთრებას ან/და ტერორიზმის დაფინანსებას.

გ) დარწმუნდეს, რომ კლიენტი მოქმედებს კომერციული ან/და პირადი მიზეზებით, რომელიც დასაბუთებული და ნამდვილი ჩანს;

დ) გამოიჩინოს დაკვირვებულობა გარიგების იდენტიფიცირებისას და განახორციელოს მისი შემდგომი შემოწმება. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ აქტივები არის ფულის გათეთრების შედეგად მიღებული შემოსავალი ან/და დაკავშირებულია ტერორიზმის დაფინანსებასთან, უნდა მოხდეს სათანადო რეაგირება, კერძოდ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, საეჭვო გარიგების ან ასეთი გარიგების მომზადების, დადების ან შესრულების მცდელობის შესახებ ანგარიშგების წარდგენა, რისკის ხელახალი განსაზღვრა და ა.შ. ანგარიშვალდებულ პირს და მის თანამშრომლებს ეკრძალებათ ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება კლიენტისთვის ან ნებისმიერი მესამე პირისთვის.

ე) განსაზღვროს კლიენტის რისკი, შემუშავებული რისკის შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად, მოპოვებული მტკიცებულებების/დოკუმენტაციის სანდოობის დონისა და ხასიათის გათვალისწინებით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშვალდებულ პირს არ აქვს საჭირო ცოდნა და გამოცდილება, არ უნდა დაიწყოს/გააგრძელოს კლიენტთან საქმიანი ურთიერთობა;

### მუხლი 6. რისკზე დაფუძნებული მიდგომის ფუნქცია

1. რისკზე დაფუძნებული მიდგომა მნიშვნელოვანია საკანონმდებლო მოთხოვნების

შესასრულებლად. ეს არის ანგარიშვალდებული პირის მიერ განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების ეფექტურად გატარების წინაპირობა.

2. რისკზე დაფუძნებული მიდგომა ითვალისწინებს, რომ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკები განხილულ იქნეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად. შესაბამისად, იგი ანგარიშვალდებულ პირს საშუალებას აძლევს საპასუხო ზომა, სათანადო ანალიზის საფუძველზე, თავის მიერ განსაზღვრული რისკის პროპორციულად მიიღოს. რისკზე დაფუძნებული მიდგომა, რისკების უკეთ ამოსაცნობად, მოითხოვს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს.

### **მუხლი 7. რისკზე დაფუძნებული მიდგომის პროცედურები**

1. კლიენტთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე, ანგარიშვალდებულ პირს შემუშავებული უნდა ჰქონდეს კონტროლის მექანიზმები ამ ურთიერთობიდან წარმოშობილ რისკებზე რეაგირების მიზნით. ანგარიშვალდებული პირის საქმიანობის რისკის პროფილმა უნდა აჩვენოს, სად შეიძლება წარმოიშვას კონკრეტული რისკები, იმის დასადგენად, თუ რა ტიპის პრევენციული ზომები უნდა გატარდეს.

2. რისკზე დაფუძნებული მიდგომის პროცედურები ადვილად გასაგები და გამოსაყენებელი უნდა იყოს ყველა შესაბამისი თანამშრომლისთვის. უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკმარისი მოქნილობა, რათა პროცედურების შედეგად შესაძლებელ იქნეს უჩვეულო თუ საეჭვო გარემოებების ამოცნობა და შესაბამისი ზომების მიღება.

3. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების სანინაღმდეგო შესაბამისობის კონტროლის სისტემის ხასიათი და მასშტაბი დამოკიდებულია:

- ა) სისუსტეებსა და საფრთხეებზე;
- ბ) ანგარიშვალდებული პირის მასშტაბსა და შიდა სტრუქტურის კომპლექსურობაზე;
- გ) განხორციელებული ოპერაციების გეოგრაფიულ მდებარეობაზე;
- დ) სხვა ორგანიზაციებთან დაკავშირებულ ოპერაციებზე (როგორცაა ქსელური ბიზნესები, სააგენტოები და სხვა).

### **მუხლი 8. რისკზე მოქმედი ფაქტორები**

1. რისკზე მოქმედია შემდეგი ფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა გაზარდონ რისკები, საფრთხეები და სისუსტეები:

- ა) მოთხოვნილი მომსახურების აუხსნელი გადაუდებელი აუცილებლობა;
- ბ) კლიენტის უჩვეულო განაფულობა, მათ შორის კლიენტის საქმიანობასთან შეუსაბამო მფლობელობის რთული სტრუქტურა;
- გ) გარიგების/სქემის უჩვეულო სირთულე;
- დ) კლიენტთან არარეგულარული ურთიერთობა ან ხანმოკლე ურთიერთობა. გარიგებები, რომლებიც გულისხმობს კლიენტთან მთელი ურთიერთობის განმავლობაში შეზღუდულ კონტაქტს;
- ე) გეოგრაფიული რისკი;
- ვ) თუ კლიენტი პოლიტიკურად აქტიური პირი ან მასთან დაკავშირებული პირია.

2. მომეტებული რისკი შესაძლოა შემცირდეს/იმართოს:

- ა) კლიენტის გაძლიერებული იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის პროცედურების ჩატარებით;
- ბ) დამატებითი კონტროლის მექანიზმების დაწესებით მაღალი რისკის შემცველი მომსახურების შეთავაზებაზე ან მომეტებული რისკის დონეს მიკუთვნებულ კლიენტზე.

3. გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს კლიენტის ნაკლები რისკის დონისთვის

მიკუთვნებას:

- ა) საქმიან ურთიერთობაში სათანადოდ რეგულირებული ფინანსური ინსტიტუტის ან სხვა არასაფინანსო საქმიანობის განმახორციელებელი პირის ჩართულობა;
  - ბ) უნაღდო ანგარიშსწორება;
  - გ) გადახდები უშუალოდ კლიენტისგან, და არა მესამე მხარისგან;
  - დ) კლიენტი საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირი/ან საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირია;
  - ე) კლიენტი ექვემდებარება ერთი/რამდენიმე ორგანოს ზედამხედველობას;
  - ვ) კლიენტთან რეგულარული ურთიერთობა ან/და ხანგრძლივი ურთიერთობა — გრძელვადიანი ურთიერთობები, რომლებიც მთელი ურთიერთობის განმავლობაში კლიენტებთან ხშირ კონტაქტს და მარტივ კომუნიკაციას გულისხმობს;
  - ზ) კლიენტი წარმოადგენს კერძო კომპანიას, რომლის მმართველობის სტრუქტურა მარტივად იდენტიფიცირებადი/ვერიფიცირებადია სანდო წყაროს საფუძველზე (მაგ: სახელმწიფო სტრუქტურები, საერთაშორისო საფონდო ბირჟები, აქციათა რეესტრი)
  - თ) სიღრმისეული ცოდნა კონკრეტული ქვეყნის შესახებ, მათ შორის ადგილობრივი კანონმდებლობის ცოდნა და მასთან შესაბამისობა. აგრეთვე, მარეგულირებელი ზედამხედველობის სტრუქტურისა და მოცულობის ცოდნა.
4. ამ მუხლის პირველ - მე-3 პუნქტებში ჩამოთვლილი გარემოებები არ არის ამომწურავი.

### **თავი III. რისკის იდენტიფიკაციასა და რისკის დონის განსაზღვრის პროცესთან დაკავშირებული პროცედურები**

#### **მუხლი 9. რისკის იდენტიფიკაციისა და რისკის დონის განსაზღვრის არსი**

1. რისკის იდენტიფიკაცია და რისკის დონის განსაზღვრა წარმოადგენს განმეორებადი და სისტემატიზებული პროცესების ერთობლიობას, რომლებიც იგეგმება, ხორციელდება და კონტროლდება რისკის შეფასების მეთოდოლოგიით გათვალისწინებული პროცედურების მიხედვით.
2. რისკების იდენტიფიკაციისა და რისკის დონის განსაზღვრის შედეგები გამოყენებულ უნდა იქნეს რისკების მართვისთვის სწორი სტრატეგიის განსაზღვრის მიზნით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ პროცესი იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული და უზრუნველყოფდეს მაქსიმალურად ყველა რისკის იდენტიფიცირებას და განსაზღვრას. წინააღმდეგ შემთხვევაში, არაიდენტიფიცირებული რისკი ვერ დაექვემდებარება რისკის მართვის პროცესს. ამდენად, მნიშვნელოვანია ზუსტი, სრული და ხარისხიანი მონაცემების შეგროვება, რისკის მოვლენების მიხედვით მონაცემთა კატეგორიზაცია, რისკთან დაკავშირებული ინფორმაციის მონაცემებად სტრუქტურირება და ამ მონაცემების საფუძველზე შესაბამისი ქმედებების განხორციელება.

#### **მუხლი 10. რისკის იდენტიფიკაცია და რისკის დონის განსაზღვრა.**

1. ყველა ანგარიშვალდებული პირი ახორციელებს თავის საქმიანობასთან და თითოეულ კლიენტთან დაკავშირებული რისკის იდენტიფიკაციასა და რისკის დონის განსაზღვრას.
2. ანგარიშვალდებული პირის რისკის შეფასების მეთოდოლოგია უნდა ითვალისწინებდეს რისკის სულ მცირე შემდეგ დონეებს:
  - ა) ნაკლები რისკი;



ბ) საშუალო რისკი;

გ) მომეტებული რისკი.

3. მნიშვნელოვანია, რომ რისკის შეფასებისა და მართვის პროცესი ითვალისწინებდეს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ეროვნულ ანგარიშსა და სამოქმედო გეგმაში ასახულ ინფორმაციას, აგრეთვე სამსახურის მითითებებსა და რეკომენდაციებს. იგი შესაძლოა ასევე მოიცავდეს კომპეტენტური ორგანოების მიერ ჩატარებულ სექტორულ შეფასებებს იმ ML/TF რისკების შესახებ, რომლებიც თან ახლავს საბუღალტრო თუ აუდიტორულ მომსახურებას/სექტორს და ნებისმიერ სხვა ინფორმაციას, რომელიც შეიძლება რელევანტური იყოს საბუღალტრო/აუდიტორული სფეროს პრაქტიკისთვის დამახასიათებელი რისკის დონის შესაფასებლად და სამართავად (მაგალითად: სტატიები და სხვა ფართოდ ხელმისაწვდომი საჯარო ინფორმაცია, სხვა ქვეყნების გამოცდილება, რომელიც გამოკვეთს იმ კონკრეტულ იურისდიქციაში წარმოქმნილ პრობლემებს). ანგარიშვალდებულმა პირებმა მიზანშეწონილია გაითვალისწინონ FATF-ის რეკომენდაციები. კლიენტთან ურთიერთობისას ასევე მნიშვნელოვანია კლიენტის რისკის პროფილის მუდმივი მონიტორინგისა და განხილვის პროცედურების განერა.

4. ანგარიშვალდებული პირი უფლებამოსილია, რისკის დონის მიუხედავად, განახორციელოს კლიენტთან საქმიანი ურთიერთობის რიგგარეშე შესწავლა.

5. ძირითადი რისკების დონეების გათვალისწინებით, ანგარიშვალდებულმა პირმა კლიენტის პროფილის დასადგენად შესაძლოა მატრიცა შეადგინოს. ამგვარი რისკის დონეები, იურიდიული პირის შემთხვევაში, შეიძლება მოიცავდეს კლიენტის სამართლებრივ ფორმას, ქვეყანას, რომელშიც კლიენტი ახორციელებს საქმიანობას ან იურიდიული პირის სახით არის რეგისტრირებული და სექტორს, რომელშიც კლიენტი საქმიანობს. გარდა ამისა, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გაითვალისწინოს კლიენტისთვის შეთავაზებული მომსახურების ხასიათი და არხები, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მომსახურების მიწოდება/ტრანზაქციების შესრულება.

### **მუხლი 11. ანგარიშვალდებული პირის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის იდენტიფიკაცია და რისკის დონის განსაზღვრა**

1. ანგარიშვალდებული პირის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიკაცია და რისკის დონის განსაზღვრა გულისხმობს ანგარიშვალდებული პირის საქმიანობაში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკ-ფაქტორების და კონტროლის ზომების იდენტიფიკაციას, ანალიზსა და ქულებრივ შეფასებას. ანგარიშვალდებულ პირს, რომელსაც შედარებით მარტივი კლიენტთა ბაზა და მომსახურების შეზღუდული პორტფელი აქვს, შეიძლება მარტივი რისკის პროფილი ჰქონდეს.

2. საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიკაცია და რისკის დონის განსაზღვრა უნდა იყოს დოკუმენტირებული, მათ შორის რისკ-ფაქტორების შერჩევის მიზეზები და ქულების მინიჭების საფუძვლები. რისკების იდენტიფიკაციისა და დონის განსაზღვრის საბოლოო ანგარიში უნდა იყოს წერილობითი ფორმით და მოთხოვნის შემთხვევაში წარედგინოს სამსახურს.

### **მუხლი 12. კლიენტის რისკის იდენტიფიკაცია და რისკის დონის განსაზღვრა**

1. ანგარიშვალდებულმა პირმა კლიენტის რისკის იდენტიფიკაცია და რისკის დონის განსაზღვრა უნდა მოახდინოს საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე.

2. რისკზე დაფუძნებული მიდგომა შეიძლება, ასევე, ითვალისწინებდეს ანგარიშვალდებული პირის გამოცდილებასა და ცოდნას სხვადასხვა კომერციულ გარემოში. იმ შემთხვევაში, თუ



ანგარიშვალდებულ პირს არ აქვს კონკრეტულ ქვეყანასთან ურთიერთობის გამოცდილება, მას შეუძლია განიხილოს ეს ქვეყანა, როგორც საშუალო ან მაღალი რისკის შემცველი, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ანგარიშვალდებულმა პირმა აღნიშნული ფაქტორი შესაძლოა მიიჩნიოს დაბალ რისკად.

3. ყველა კლიენტი და მომსახურება მოქცეული უნდა იყოს კონკრეტული რისკის კატეგორიაში.

4. ანგარიშვალდებულმა პირმა კლიენტის რისკის იდენტიფიკაცია და რისკის დონის განსაზღვრა უნდა მოახდინოს საკუთარ ინდივიდუალურ პრაქტიკასა (ზომის, სირთულის, ხასიათის, განეული მომსახურების მიხედვით) და გონივრულ განსჯაზე დაყრდნობით, ობიექტურად.

5. მნიშვნელოვანია, რომ რისკების იდენტიფიკაციისა და რისკის დონის განსაზღვრის პროცესი წარმართოს ანგარიშვალდებულ პირის მიერ შემუშავებული რისკის შეფასების მეთოდოლოგიით განსაზღვრული წესებისა და პრინციპების დაცვით.

6. კლიენტის რისკის დონის ხელახალი განსაზღვრის პერიოდულობა დამოკიდებულია კლიენტის რისკის დონეზე.

## თავი IV კლიენტის რისკ-ფაქტორები

### მუხლი 13. კლიენტის რისკ-ფაქტორები

1. შესაძლოა არსებობდეს კლიენტის ოთხი რისკ-ფაქტორი:

- ა) კლიენტის რისკი;
- ბ) მომსახურების რისკი;
- გ) გეოგრაფიული რისკი;
- დ) მინოდების არხის რისკი.

2. ანგარიშვალდებულმა პირმა არ უნდა შეაფასოს რისკი მხოლოდ ცალკეულ რისკ-ფაქტორზე დაკვირვებით, რადგან ორი ან მეტი საფრთხის გაერთიანებამ შესაძლოა წარმოქმნას კომბინირებული რისკი, რომელიც აღემატება ცალკეულ რისკს დამოუკიდებლად. კონკრეტული სამრეწველო დარგი და კონკრეტული ქვეყანა შეიძლება ჩაითვალოს ზომიერი რისკის მატარებლად, თუმცა, როდესაც ისინი კონკრეტული კლიენტის მიერ ან კონკრეტული გარიგების საშუალებით გაერთიანდებიან, შესაძლოა წარმოიშვას მომეტებული რისკი. ანგარიშვალდებულმა პირმა ML/TF რისკების შეფასებისას უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა, მისთვის ხელმისაწვდომი რისკების განხილვასთან დაკავშირებული ინფორმაციის შესაფასებლად.

### მუხლი 14. კლიენტის რისკი

1. ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა განიხილოს არის თუ არა კლიენტი ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსების დანაშაულებთან დაკავშირებული პირი. გარდა ამისა, კლიენტის რისკის პროფილი შეიძლება იძლეოდეს ინფორმაციას რისკის შეფასების მასშტაბზე (მაგალითად: მოიცავს თუ არა კლიენტის რისკის შეფასება ინფორმაციას კლიენტის მნიშვნელოვანი წილის მფლობელებსა თუ მის ბენეფიციარ მესაკუთრეებზე).

2. კლიენტის გადამეტებული სიფრთხილე და მფლობელობის ან კონტროლის (მმართველობის) სტრუქტურა შეიძლება მიუთითებდეს მომეტებულ რისკზე, ვინაიდან კომპანიების სადამფუძნებლო სტრუქტურები, რომლებიც ნიღბავს საკუთრების უფლებასა და კონტროლის მექანიზმებს, განსაკუთრებით მიმზიდველია ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებაში მონაწილე პირებისთვის.

3. კლიენტი (ფიზიკური პირი) ან კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრე როდესაც იდენტიფიცირებულია, როგორც პოლიტიკურად აქტიური პირი, საჭიროა განხორციელდეს გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები.

### მუხლი 15. მომსახურების რისკი

1. მომსახურების რისკი არის მოსალოდნელი რისკი, რომ გარკვეული პროდუქტი ან მომსახურება ML/TF მიზნებისთვის შესაძლოა იქნეს გამოყენებული.

2. ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა განახორციელოს კლიენტის რიგგარეშე შესწავლა იმ პროდუქტების ან მომსახურების მიწოდებისას, რომლებსაც ML/TF მიმართ მოწყვლადობის მომეტებული დონე აქვს.

3. გარდა ამისა, მომეტებულ რისკად უნდა ჩაითვალოს მომსახურება ან პროდუქტები, რომლებშიც არსებობს მომეტებული რისკი იმისა, რომ თავად ანგარიშვალდებულმა პირმა შეიძლება ჩაიდინოს ML/TF დანაშაული.

4. ახალი ტექნოლოგიის, პროდუქტის, მომსახურების ან მისი მიწოდების საშუალების დანერგვამდე, ან პრაქტიკაში სხვა არსებითი ცვლილების განხორციელებამდე, ანგარიშვალდებულ პირი ვალდებულია შეაფასოს ასეთ ცვლილებასთან დაკავშირებული ML/TF რისკები.

### მუხლი 16. გეოგრაფიული რისკი

1. გეოგრაფიული რისკი გაზრდილი რისკია, რომელსაც ტერიტორია ქმნის ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან მიმართებაში.

2. კლიენტი შეიძლება მომეტებული რისკის დონეს მიეკუთვნებოდეს, როდესაც მისი ქონებისა თუ ფულადი სახსრების წყაროს წარმოშობა/მიმდინარე ადგილმდებარეობა ან მომსახურების განევის ადგილი დაკავშირებულია მაღალი რისკის იურისდიქციასთან (მხედველობაში მიიღება, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი — საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული მაღალი რისკის იურისდიქციების ნუსხა, ასევე FATF-ის მიერ განსაზღვრული მაღალი რისკის იურისდიქციები და გაზრდილ მონიტორინგს დაქვემდებარებული ქვეყნები<sup>1</sup>).

3. ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა განიხილოს აქვთ თუ არა მის კლიენტებს კავშირი ქვეყნებთან, რომლებსაც ML/TF-ის დანაშაულის მიზნებისთვის იყენებენ ან რომლებიც ცნობილია კორუფციის/ორგანიზებული დანაშაულის მაღალი რისკით<sup>2</sup>.

4. მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ქვეყნებზე, რომლებიც:

ა) არიან სარწმუნო წყაროების მიერ დადგენილი ქვეყნები/რეგიონები, რომლებიც აფინანსებენ ან მხარს უჭერენ ტერორისტულ ქმედებებს, ან ჰყავთ განსაზღვრული ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებიც დადგენილი ქვეყნების/რეგიონების ფარგლებში აწარმოებენ ოპერაციებს;

ბ) არიან სარწმუნო წყაროების მიერ დადგენილი ქვეყნები, რომლებიც გამოირჩევიან ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციის ან სხვა კრიმინალური ქმედების მაღალი დონით, მათ შორის არალეგალური ნარკოტიკების, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), კონტრაბანდისა და არალეგალური აზარტული თამაშების წარმომშობი/ტრანზიტული ქვეყნები;

<sup>1</sup> „შავი და ნაცრისფერი“ სია.

<sup>2</sup> (მაგ: ბაზელის ფულის გათეთრების ადკვეთის ინდექსი – Basel AML index

გ) არიან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (როგორცაა, მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) დაწესებულ სანქციებს, ემბარგოებს ან მსგავს ზომებს დაქვემდებარებული ქვეყნები;

დ) არიან სარწმუნო წყაროების მიერ დადგენილი ქვეყნები, რომლებსაც აქვთ სუსტი მმართველობა, შეფერხება კანონის აღსრულებასთან, მათ შორის FATF-ის მიერ განსაზღვრული მაღალი რისკის იურისდიქციები და გაზრდილ მონიტორინგს დაქვემდებარებული ქვეყნები, რომლებიც გამოირჩევიან ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სუსტი მექანიზმებით;

ე) არიან სარწმუნო წყაროების მიერ დადგენილი ქვეყნები, რომლებიც არ თანამშრომლობენ კომპეტენტური ორგანოებისთვის ბენეფიციარი მესაკუთრეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში, რომლის განსაზღვრაც შესაძლებელია FATF-ის ერთობლივი შეფასების ანგარიშისა ან/და იმ ორგანიზაციების ანგარიშების მიმოხილვით, რომლებიც ასევე განიხილავენ თანამშრომლობის სხვადასხვა საფეხურს, როგორცაა მაგალითად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) გლობალური ფორუმის ანგარიში საგადასახადო გამჭვირვალობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.

5. სარწმუნო წყაროები გულისხმობს ინფორმაციას, რომელსაც ფლობენ ავტორიტეტული და საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ორგანიზაციები ან/და სხვა ორგანოები, რომლებიც ამგვარ ინფორმაციას საჯაროდ და ფართოდ აწვდიან საზოგადოებას (FATF-ისა და მსგავსი ტიპის რეგიონული ორგანოების გარდა, ასეთი წყაროები შეიძლება იყოს საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ეკონომიკის ჯგუფი და სხვა).

### **მუხლი 17. მიწოდების არხის რისკი**

1. ანგარიშვალდებულმა პირმა კლიენტის რისკის პროფილის განსაზღვრისას, უნდა განიხილოს კლიენტთან პირისპირ შემხებლობაში არყოფნა ზრდის თუ არა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკს.

2. გარკვეულმა მიწოდების არხებმა შეიძლება გაზარდოს ML/TF რისკი, რადგან მათ შეუძლია გაართულოს კლიენტის ვინაობისა და სანდოობის დადგენა, როგორც საქმიანი ურთიერთობის დასაწყისში, ასევე მისი მიმდინარეობის პროცესში (მაგალითად, მიწოდების არხის რისკი შეიძლება გაიზარდოს მაშინ, როდესაც მომსახურება/პროდუქტები მიწოდება კლიენტს, რომელსაც ანგარიშვალდებულ პირი პირადად არ შეხვედრია ან მაშინ, როდესაც კლიენტთან საქმიანი ურთიერთობა ხორციელდება მესამე პირის მეშვეობით).

3. ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა შეისწავლოს მიწოდების არხისგან გამომწვეული რისკები სათანადო დაკვირვებითა და ყურადღებით.

### **მუხლი 18. ფულადი სახსრების წყარო და ქონების წყარო**

1. ფულადი სახსრების და ქონების წარმომავლობის დადგენა მნიშვნელოვანია მომეტებული რისკის დონისთვის მიკუთვნებული კლიენტის რისკის პროფილის განსაზღვრისას. ფულადი სახსრები წარმოიშობა საქმიანობიდან, რომელიც კლიენტისთვის ფულად შემოსავლებს (ხელფასი, სავაჭრო ამონაგები) წარმოქმნის, ხოლო ქონება (ბიზნესი, მემკვიდრეობა ან ინვესტიციები).

მოიცავს კლიენტის მთლიან კაპიტალს

2. რისკზე დაფუძნებული მიდგომის თანახმად, ანგარიშვალდებული პირი უნდა დარწმუნდეს, რომ შესაფასებლად ხელმისაწვდომია ინფორმაცია კლიენტის ფულადი სახსრების წყაროსა და ქონების წყაროზე ისეთ დონეზე, რომელიც პროპორციულია თავისი რისკის პროფილთან.

## თავი V რისკის ანალიზი და შერბილება

### მუხლი 19. რისკის ანალიზი

1. რისკების ანალიზის დროს ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გაითვალისწინოს კლიენტები და ბაზრები, შიდა და გარე ფაქტორები (სისუსტეები და საფრთხეები), რომლებიც ამცირებს/ზრდის რისკებს. კლიენტი, რომელიც ექვემდებარება ML/TF წინააღმდეგ მიმართულ ეფექტურ ზედამხედველობას, შეიძლება უფრო ნაკლებ რისკს წარმოადგენდეს, ვიდრე ის, ვინც არ ექვემდებარება მას.

2. ML/TF რისკები ითვალისწინებს იმის აღბათობას, რომ ანგარიშვალდებული პირი შესაძლოა:

ა) გამოყენებულ იქნას ფულის გათეთრების მიზნებისთვის (მაგ. კლიენტის საბანკო ანგარიშზე დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავლის შენახვა, ან ანგარიშვალდებული პირის ჩართვა ისეთ შეთანხმებაში, რომელიც შენიღბავს დანაშაულებრივი შემოსავლების ბენეფიციარ მესაკუთრეებს);

ბ) გამოყენებულ იქნეს ML/TF ხელშესაწყობად (მაგ. ფულის გასათეთრებლად სპეციალური კორპორაციული მექანიზმის შექმნის მიზნით) ან სხვა დაკავშირებულ დანაშაულში (მაგ. თაღლითობა);

გ) დაზარალდეს სამართლებრივი, მარეგულირებელი ან რეპუტაციის შემლახველი შედეგებისგან იმის გამო, რომ კლიენტი (ან მისი პარტნიორი/პარტნიორები) მონაწილეობს ფულის გათეთრებაში/ტერორიზმის დაფინანსებაში;

დ) ვერ ახერხებდეს საეჭვო გარიგების შესახებ ანგარიშგების წარდგენას.

3. რისკების ანალიზის პროცესი ემსახურება ანგარიშვალდებული პირის რესურსების მიზნობრივ განაწილებას.

4. რისკის ანალიზის შედეგები უნდა იყოს დოკუმენტირებული და შენახული.

### მუხლი 20. კონტროლის მექანიზმების შეფასება

1. რისკების იდენტიფიცირების შემდგომ, მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს შესაბამისობის კონტროლის სისტემით გათვალისწინებული კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობა და დადგინდეს გამოყენებული მექანიზმების იდენტიფიცირებულ რისკებთან პროპორციულობის ხარისხი.

2. საჭიროა გაანალიზდეს და ფორმალიზებული სახით აღინეროს, თუ რა კონტროლის მექანიზმებია გათვალისწინებული ანგარიშვალდებული პირის შესაბამისობის კონტროლის სისტემით იდენტიფიცირებული რისკების შესამცირებლად.

3. ანგარიშვალდებული პირის საქმიანობის ხასიათისა და მოცულობის პროპორციული ელექტრონული სისტემის (საქმიანობის მასშტაბის მიხედვით ელექტრონული სისტემების სახით შეიძლება მოიცავდეს როგორც სპეციალიზებულ, ასევე არასპეციალიზებულ, ფართოდ გავრცელებულ პროგრამულ უზრუნველყოფებს, როგორცაა საოფისე პროგრამები) გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების იდენტიფიცირებული რისკების კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობას.

მნიშვნელოვანია ანგარიშვალდებული პირის მიერ დანერგილი ელექტრონული სისტემა აკმაყოფილებდეს სულ მცირე შემდეგ სტანდარტულ მოთხოვნებს:

- ა) რისკის დონის მიხედვით, კლიენტების კლასიფიცირებას და სისტემატიზაციას, რაც ხელს შეუწყობს კლიენტის რისკის გათვალისწინებით გარიგებების მონიტორინგის განხორციელებას;
- ბ) ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის ელექტრონულ აღრიცხვასა და სისტემატიზაციას;
- გ) პოლიტიკურად აქტიური პირების, გაეროს სანქცირებულ პირთა კონსოლიდირებული სიის წევრთა იდენტიფიცირებისათვის საჭირო ფუნქციონალის ქონას.

## **მუხლი 21. რისკის შერბილება**

1. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შერბილება წარმოადგენს უწყვეტ ციკლს, რომელიც ერთმანეთის მონაცვლე, ხანდახან კი პარალელურად მიმდინარე პროცესებს მოიცავს.
2. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების იდენტიფიცირების, რისკის დონის განსაზღვრისა და ანალიზის შემდგომ, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მოახდინოს რისკის შერბილება. ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გამოიყენოს შესაფერისი პროცედურები შეფასებული რისკის შესამცირებლად.
3. რისკების შერბილების ეტაპზე ანგარიშვალდებული პირის მიერ გატარებული კონტროლის მექანიზმის მოცულობა და ხასიათი უნდა შეესაბამებოდეს შეფასებული რისკების დონეს.

## **მუხლი 22. უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა**

1. ანგარიშვალდებულ პირს მოეთხოვება, გაანალიზოს თავის წინაშე არსებული რისკები და მუდმივად იზრუნოს შესაბამისობის კონტროლის სისტემის დახვეწაზე, რისკის ეფექტიან მართვაზე, რომელიც მოიაზრებს ყველა შესაძლო რისკის მართვას. აღნიშნული მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ დამკვიდრებულია მმართველობითი ორგანოს/ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე/შესაბამისობის კონტროლის სისტემის ფუნქციონირებისთვის პასუხისმგებელ პირთა მჭიდრო თანამშრომლობა და ღია კომუნიკაცია. ამ მიზნით, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა განსაზღვროს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების იდენტიფიკაციისა და რისკის დონის განსაზღვრის/ანალიზის პროცესში ჩართული თითოეული პირის შესაბამისი, ზუსტი უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები.
2. ანგარიშვალდებული პირის ეფექტიანობა რისკის შეფასებისა და მართვის პროცესში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თანამშრომელთა კვალიფიკაციაზე. ანგარიშვალდებულმა პირმა საჭიროა, შესასრულებელი სამუშაოს გათვალისწინებით უზრუნველყოს თანამშრომელთა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი სწავლება.
3. რისკების მართვის პროცესში ასევე მნიშვნელოვანია ანგარიშვალდებული პირის სხვადასხვა შიდა ორგანიზაციული სტრუქტურული ერთეულის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩართულობა. რისკის შეფასების პროცესში მონაწილე თითოეულ თანამშრომელს გააზრებული უნდა ჰქონდეს საკუთარი როლი ML/TF რისკების მართვის პროცესის განხორციელებაში.

## **მუხლი 23. მმართველობითი ორგანოს წევრი, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი**

1. ანგარიშვალდებული პირის მმართველობითი ორგანოს წევრი ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისობის კონტროლის სისტემის ეფექტიანობისთვის მუდამ უნდა ფლობდეს მნიშვნელოვან ინფორმაციას გამოვლენილ რისკებზე და ზრუნავდეს ადეკვატური კონტროლის მექანიზმების დანერგვაზე.
2. მმართველობითი ორგანო ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი პასუხისმგებელია ყველა იმ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შერბილებაზე, რომლის წინაშეც ანგარიშვალდებული პირი დგას. მმართველობითმა ორგანომ ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა, რისკების შესამცირებლად რისკების მიერ წარმოქმნილი საფრთხეების პროპორციულად უნდა იმოქმედონ.

3. რისკის გამოვლენისას ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია ამ რისკების სამართავად შეიმუშაოს და განახორციელოს შესაბამისი პროცედურები. ამ პროცედურების მიზანშეწონილად მიჩნევის მიზეზები უნდა იყოს გამყარებული მტკიცებულებებით, დადასტურებული დოკუმენტებითა და ისეთი სისტემებით, რომლებიც შექმნილია საქმიანი ურთიერთობის ეფექტიანობის მონიტორინგისთვის. ანგარიშვალდებული პირის რისკზე დაფუძნებული მიდგომა უნდა განვითარდეს სისტემის მონიტორინგის შედეგების, შესაბამისობის კონტროლის სიტემის ეფექტიანობის საპასუხოდ.

#### **მუხლი 24. რისკის დონის განახლება**

1. ანგარიშვალდებული პირის მიერ რისკის განსაზღვრა უწყვეტი პროცესია, რომელიც საჭიროებს გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში გადაფასებას.

2. რისკის მართვისას მნიშვნელოვანია საქმიანი ურთიერთობის მონიტორინგი, რომლის მიზანია:

ა) კლიენტის, მისი ბენეფიციარი მესაკუთრის, საქმიანი ურთიერთობის მიზნისა და განზრახული ხასიათის შესახებ განახლებული ინფორმაციის მოპოვება და ჩანაწერების შენახვა;

ბ) კლიენტის რისკის დონის ხელახალი განსაზღვრა, მის მიერ განხორციელებული გარიგებებისა და განახლებული ინფორმაციის შესაბამისად;

გ) საექვო და უჩვეულო გარიგებების გამოვლენა და ანგარიშგების წარდგენა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის.

3. ანგარიშვალდებული პირის მიერ შემუშავებული რისკის შეფასების მეთოდოლოგიამ საჭიროა განსაზღვროს კლიენტის რისკის დონის ხელახალი განსაზღვრისა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების პერიოდულობა, რისკის დონის პროპორციულად.

4. ანგარიშვალდებული პირი ახდენს თავის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკებისა და კლიენტის რისკის დონის მინიჭებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დოკუმენტირებას და შენახვას, რათა საჭიროების შემთხვევაში დაასაბუთოს ჩატარებული შეფასების შედეგები.

5. მიზანშეწონილია, რომ ანგარიშვალდებული პირის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის იდენტიფიკაცია და რისკის დონის განსაზღვრა განხორციელდეს წელიწადში ერთხელ, ასევე, ნებისმიერი ისეთი მოვლენის დროს, რომელიც არსებით გავლენას ახდენს ანგარიშვალდებული პირის რისკ-პროფილზე. თუ ანგარიშვალდებული პირი არგუმენტირებულად მიიჩნევა, რომ რისკის მატარებელ გარემოებებთან დაკავშირებული არსებითი ხასიათის ცვლილებები არ ფიქსირდება, მას შეუძლია რისკის შეფასება განხორციელოს უფრო ნაკლები პერიოდულობით (არაუმეტეს 3 წელიწადში ერთხელ). გამონაკლის შემთხვევაში, რისკის იდენტიფიკაცია და რისკის დონის განსაზღვრა შესაძლოა განხორციელდეს სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადებში ან პერიოდულობით.

6. ანგარიშვალდებული პირის მიერ შემუშავებული რისკის შეფასების მეთოდოლოგია განსაზღვრავს კლიენტის რისკის დონის განახლებისა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების პერიოდულობას, რომელიც შესაძლოა განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ნაკლები რისკის დონეს მიკუთვნებულ კლიენტთან მიმართებაში — არაუმეტეს 5 წლიანი პერიოდულობით;

ბ) საშუალო/სტანდარტულ რისკის დონეს მიკუთვნებულ კლიენტთან მიმართებაში — არაუმეტეს 3 წლიანი პერიოდულობით;

გ) მომეტებული რისკის დონეს მიკუთვნებულ კლიენტთან მიმართებაში — ყოველწლიურად.

## თავი VI რისკის შესახებ კომუნიკაციის პროცესთან დაკავშირებული პროცედურები

### მუხლი 25. რისკის შესახებ კომუნიკაცია

1. რისკის შესახებ კომუნიკაცია გულისხმობს რისკის იდენტიფიკაციისა და რისკის დონის განსაზღვრის, რისკის ანალიზისა და შერბილების პროცესისა და შედეგების შესახებ დროული, მიუკერძოებელი და ობიექტური ინფორმაციით შესაბამისი პირების უზრუნველყოფას და ითვალისწინებს ინფორმაციის მიწოდების სწრაფი სისტემის შექმნას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ზუსტი ინფორმაციის ურთიერთგაცვლა.

2. რისკის შესახებ კომუნიკაციამ, რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე უნდა უზრუნველყოს საფრთხეებისა და შესაძლო რისკების შესახებ გადანყვეტილებების გაცვლის პროცესი, გადანყვეტილებათა მიღება გამარტივებული გზით, რათა ჩართულ მხარეთა უფლებები და ინტერესები მაქსიმალურად იყოს დაცული.

3. რისკის შესახებ კომუნიკაციამ უნდა უზრუნველყოს:

ა) რისკის ანალიზის პროცესებისა და შედეგების შესახებ მიღებული გადანყვეტილებების ზუსტი მიწოდება და რისკის ანალიზის პროცესში მონაწილეთა საქმიანი ურთიერთობების გაუმჯობესება;

ბ) რისკის შერბილების თაობაზე რეკომენდაციების შემუშავებისა და მიწოდების დროს ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, სხვადასხვა განსახილველი საკითხის შესახებ ცოდნის ამაღლება;

გ) რისკის ანალიზის პროცესში თითოეული დაინტერესებული მხარის სათანადო ჩართვა, რისკების საკითხზე ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მიზნით.

## თავი VII ინფორმაციის განახლება და შენახვა

### მუხლი 26. ინფორმაციის განახლება და შენახვა

1. რისკის შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტი მმართველობითი ორგანოს ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ უნდა იქნეს დამტკიცებული და მისი განახლება უნდა ხორციელდებოდეს, როგორც გარკვეული პერიოდულობით, ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებების დროს.

2. კლიენტის რისკის დონის გადახედვა და პრევენციული ღონისძიებების გატარება უნდა მოხდეს, ასევე, მნიშვნელოვანი ცვლილებების დროს, რათა მონაცემები ყოველთვის იყოს აქტუალური.

3. ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია შეინახოს მოპოვებული ინფორმაცია (დოკუმენტი) და ჩატარებული ანალიზის შედეგები, საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტიდან 5 წლის განმავლობაში. დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი,

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური